საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 1 ივნისის
დადგენილება № 677

სტუ-ში სასწავლო პროცესის
მართვის ინსტრუქციის
ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის 3.7, 3.8, 3.9 და 5.15 პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.7. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის მეშვეობით. სტუდენტთა მიღწევების ელექტრონული ტესტირებით შეფასების სისტემაზე სრულად გადასვლამდე, აღნიშნულ გამოცდებს შეიძლება ჰქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთი ან რამდენიმე ფორმა:

- ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში, შერჩევით, სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფის კვალობაზე – ელექტრონული ტესტების ამოხსნა;
- ყველა სხვა შემთხვევაში:
  - ტესტების ამოხსნა; მათ შორის ელექტრონული;
  - საკონტროლო წერა;
  - საკურსო სამუშაოს/პროექტის ფრაგმენტის შესრულება და სხვ.

3.8. დასკვნითი გამოცდის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 40-ს. დანარჩენი ქულები ნაწილდება ყოველკვირეულ შეფასებებსა და შუალედურ ტესტირებებზე 3.9 და 3.10 პუნქტების მიხედვით.

3.9. თიოთოეული სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ავტორმა (ავტორებმა) მასში დეტალურად უნდა აღწეროს შეფასების სისტემა.

5.15. დოქტორანტის მიერ დისერტაციის წარუდგენლობასთან და დისერტაციის დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღებასთან დაკავშირებით სტატუსის გაგრძელების, შეჩერების და შეწყვეტის, აგრეთვე სტატუსის აღდგენის საკითხები განხილულია დებულებაში დოქტორანტურის შესახებ.

2.გაუქმდეს პუნქტები 3.19 და 5.16-5.20.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე